



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

ტექნოლოგიის როლი მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაში
ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლისას ერაყის
კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ნაჯი ილდიზ

სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი განათლების მეცნიერებებში

თბილისი, 2017

სამეცნიერო

ნიკოლოზ ფარჯანაძე

ხელმძღვანელი:

(სრული სახელი)

(შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი,
დოქტორი)

(აკადემიური წოდება)

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სრული სახელი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. ეკატერინე ფიფია

ხელმოწერა



2. ასოც. პროფ. მეჰმეთ შაჰინერ

ხელმოწერა

ოპონენტები (სრული სახელი & აკადემიური წოდება):

1. ასოც. პროფ. დოქტ. მაია ალავიძე

ხელმოწერა

2. ასოც. პროფ. დოქტ. თამარ მიქელაძე

ხელმოწერა

3. ასოც. პროფ. დოქტ. მაისა ლაზი მაჰგოლუზ

ხელმოწერა



შესავალი

საკვლევი თემის მოკლე მიმოხილვა

მოსმენა არის ქმედება, რომელიც ენის შემსწავლელისაგან მოითხოვს ყურადღების გამახვილებას, რათა მან მოახერხოს მოსმენილის გაგება. მოსმენა არის სხვა ადამიანების საუბრის წვდომა და გააზრება. მარტივად რომ ვთქვათ, მოსმენა არის ბგერასა და შინაარსის სტრუქტურას შორის კავშირი. თუკი ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს საუბრის მოსმენას, გაგება-გააზრება წარმოუდგენელია. შესაბამისად, მოსმენა მიზნად ისახავს მოსაუბრის გზავნილის გაშიფვრას. ამდენად, ენის შემსწავლელის მიერ ენის ფლობა გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსმენილის გააზრებაში.

ბოლო დროს ენის სპეციალისტები თანხმდებიან, რომ მხოლოდ გრამატიკისა და ლექსიკის შესწავლა საკმარისი არ არის ენობრივი კომპეტენციის გასავითარებლად. შესაბამისად, ბოლო ორი ათწლეულია, კომუნიკაციურმა კომპეტენციამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. სელსე-მერსია, დორნი და თარელი მიიჩნევენ (Celce-Murcia, Dörnyei and Thurrell, 1995), რომ კომუნიკაციური კომპეტენცია შედგება ხუთი კომპონენტისაგან: დისკურსის კომპეტენცია, ენობრივი (ლინგვისტური) კომპეტენცია, სოციო-კულტურული კომპეტენცია, სტრატეგიული კომპეტენცია და ქმედითი კომპეტენცია. ყველა ეს კომპონენტი ენის შემსწავლელს კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარების შესაძლებლობა აძლევს. შესაბამისად, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მხოლოდ გრამატიკისა და ლექსიკის სწავლება ვერ ეხმარება ენის შემსწავლელს კომუნიკაციური უნარების განვითარებაში თუკი სათანადო ყურადღება არ ექცევა ენის კომუნიკაციურ ასპექტს, თუნდაც გრამატიკისა და ლექსიკის სწავლების დროს. თუმცა, ასევე რეკომენდირებულია, მასწავლებელმა და ენის შემსწავლელმა გაიაზროს, რომ კომუნიკაცია არ არის მხოლოდ საუბარი და მოსმენა. ენის შემსწავლელს ჭირდება შემეცნებადი ინფორმაცია, რათა განუვითარდეს ენობრივი კომპეტენცია და სწორედ მოსმენის უნარის მეშვეობით არის შესაძლებელი ამ შემეცნებადი ინფორმაციის მიღება. უცხოურ ენაზე საუბარს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, რადგან თუკი ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს გზავნილის გადმოცემას,

კომუნიკაცია არ შედგება. თუმცა, მოსაუბრის მიერ გადმოცემული ინფორმაციის გააზრების გარეშე, ენის მსმენელი ვერ ახერხებს ინფორმაციაზე რეაგირებას და პასუხის გაცემას. ამდენად, მოსმენა არის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი კომუნიკაციის დამყარებისა და ხელშეწყობისათვის.

მოსმენაში გამოყოფენ ორ მთავარ ასპექტს. ქვემოდან-ზემოთ მოსმენის პრინციპი აქცენტს აკეთებს ლექსიკასა და სტრუქტურაზე მნიშვნელობის ფორმირების პროცესში, ხოლო ზემოდან-ქვემოთ პრინციპი კი, უპირატესობას ანიჭებს მოსასმენი ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგება-გააზრებას. ქვემოდან-ზემოთ მოსმენის პროცესში ენის შემსწავლელი იყენებს თავის ენობრივ ცოდნას გზავნილის გაშიფვრისას. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პროცესში ენის შემსწავლელი მაინც აწყდება სიძნელეებს. აქედან გამომდინარე, მოსმენილის გასააზრებლად აუცილებელია ორივე პროცესის ინტეგრირება.

ენობრივი უნარების განვითარების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს. მრავალ ენის შემსწავლელს შეუძლია ტექნოლოგიის გამოყენება განათლების მიზნებისათვის. ტექნოლოგიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსმენის უნარის განვითარების პროცესშიც. ტექნოლოგია შესაძლებელს ხდის, რომ ადამიანი ენის შესწავლის პროცესში საკლასო ოთახის მიღმაც იყოს ჩართული, თუკი გამოყენებულია ტექნოლოგიური მოწყობილობები და სათანადო მეთოდოლოგია. მოსმენილის გააზრების უნარი მნიშვნელოვნა ვითარდება ინტენსიური მოსმენის პირობებში და სწორედ ამ პირობების შექმნა არის შესაძლებელი ტექნოლოგიების მეშვეობით.

მოსმენა არ არის მარტივი პროცესი და როდესაც ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს ტექსტის გაგებას, ისინი კარგავენ მოტივაციას. ამიტომ, მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია ენის შემსწავლელთა წასახალისებლად. მან უნდა აუხსნას ენის შემსწავლელს, რომ მთავარია მოსმენილისაგან მთავარი აზრის გამოტანა და არა მთლიანი შინაარსის სრულად გაგება-გააზრება.

ენის ინსტრუქტორი მართავს მთელს სწავლა-სწავლების პროცესს; თუმცა, თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით მასწავლებლები არიან ფასილიტატორები

და კონსტრუქტივისტური მიდგომის მიხედვით მასწავლებლის მთავარი როლი არის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ცალკეული ინდივიდისათვის უზრუნველყოფს სათანადო სასწავლო გარემოს შექმნასა და ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას (Laroche et al., 1998). მასწავლებელი გეგმავს შესაბამის აქტივობებს, რათა დაეხმაროს ენის შემსწავლელს მოსმენილის გააზრებაში. მასწავლებლის როლია ენის შემსწავლელის წინსვლის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში, სათანადო უკუკავშირი. ინსტრუქტორი ენის შემსწავლელს აწვდის განმარტებებს, ვიზუალურ მასალასა და ეხმარება ნასწავლის განმტკიცებაში. მეორე მხრივ, როგორც ვანდერგრეფტი და ბეიკერი (Vandergrift and Baker, 2015) განმარტავენ, მოსმენის სწავლებისას მთავარი გამოწვევა შეიძლება იყოს ის, რომ ინსტრუქტორი ვერ იაზრებს რა ცვლადები, ანუ ენის შემსწავლელის რა თავისებურებები უნდა იყოს გათვალისწინებული მოსმენილის ეფექტურად გააზრების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მკვევარებმა და მასწავლებლებმა კარგად უნდა შეისწავლონ მოსმენის პროცესის სხვადასხვა ფაქტორი; ეს კი უზრუნველყოფს ენის შემსწავლელთა მაქსიმალურ მხარდაჭერას მოსმენის უნარის ფორმირების პროცესში. სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ჩვენი კვლევის პრობლემის საფუძველს, რასაც დეტალურად განიხილავს მოცემული ნაშრომი.

კვლევის პრობლემა

ენის შემსწავლელებს ხშირად უძნელდებათ უცხოური ენის მოსმენა, რაც უამრავი მიზეზით არის განპირობებული. მაგალითად, როდესაც ენის შემსწავლელს არ გააჩნია სათანადო ენობრივი ცოდნა, მათ უჭირთ მოსასმენი მასალის გაგება-გააზრება. როდესაც მოსასმენი მასალაში საუბრის ტემპი მაღალია, ან მოსაუბრის წარმოთქმა არ არის ნათელი, ენის შემსწავლელს უჭირს გზავნილის ზუსტი გააზრება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მოსმენის უნარისათვის სათანადო ყურადღების დათმობა, რადგან ენის შემსწავლელისათვის ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებლად აუცილებელია შემეცნებადი ინფორმაცია. სწორედ მოსმენას შეუძლია შემეცნებადი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა. მეორე მხრივ კი, მოსასმენი ტექსტის გააზრების გარეშე წარმოუდგენელია შემეცნებადი ინფორმაციის მიღება.

აუცილებელია მოსმენის პროცესის უწყვეტობა და ენის შემსწავლელი მუდმივად უნდა მოუსმინოს ტექსტს სამიზნე ენაზე, რათა განუვითარდეს მოსმენის უნარი. საკლასო ოთახის პირობებში, სადაც შეიძლება დიდი რაოდენობით სტუდენტი იყოს, ხშირად დგება მოტივაციის პრობლემა. ამას გარდა, თავად მოსმენის გაკვეთილების რაოდენობა ხშირად არ არის საკმარისი ამ უნარის გასავითარებლად. სწორედ ამ მიზეზის გამო, ინგლისურ ენაზე მოსმენის უნარის გასავითარებლად აუცილებელია ენის შემსწავლელი მოსმენის პროცესში ჩართული იყოს საკლასო ოთახის გარეთაც. დღეს ტექნოლოგიები შესაძლებლობას აძლევს ენის შემსწავლელს, უამრავ მოსასმენ მასალაზე ჰქონდეს წვდომა ინტერნეტის მეშვეობით. მას შეუძლია სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენება, რათა თავად შეუწყოს ხელი საკუთარი მოსმენის უნარის ფორმირებასა და განვითარებას. რაც მეტად უვითარდება ენის შემსწავლელს მოსმენის უნარი, მით უფრო მაღალია მოსმენილი ინფორმაციის გაგება-გააზრების მოცულობა და ხარისხი. ამდენად, ენის შემსწავლელის მოტივაცია საკლასო ოთახში და მის გარეთ, სპეციფიური სწავლა-სწავლების სტრატეგიების შერჩევა და ცალკეულ ენის შემსწავლელზე ორიენტირებული გარემოს შექმნა თანამედროვე ენის მასწავლებლისათვის წარმოადგენს უდიდეს გამოწვევას. სწორედ ეს საკითხები ქმნიან კვლევის პრობლემას და დისერტაციის მიზანიც არის ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.

კვლევის მიზნები

კვლევას გააჩნია კონკრეტული მიზნები:

- 1) მოსმენის მნიშვნელობის კვლევა ენის, კერძოდ, ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში;
- 2) მოსმენილის გააზრების მნიშვნელობის კვლევა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის დაუფლების პროცესში;
- 3) მოსმენილის გააზრების უნარის განვითარების პროცესში ტექნოლოგიური მოწყობილობების როლის კვლევა;

- 4) მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარების მიზნით ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სასწავლო გარემოში ტექნოლოგიური მოწყობილობების ინტეგრაციის მოდელის ჩვენება;
- 5) ინგლისურის, როგორც უცხოური ენის მოსმენის უნარის გაუმჯობესების კუთხით მოსმენის სავარჯიშოების როლის ანალიზი;
- 6) იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლიან მოსმენილის გააზრებას;
- 7) იმ სტრატეგიების დადგენა, რომლებიც ენის შემსწავლელს დაეხმარება მოსმენის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრასა და მოსმენის უნარის განვითარებაში;
- 8) იმის დადგენა, თუ რა როლი ენიჭება მასწავლებელს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შემსავლელთათვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნაში, რათა დაეხმაროს მათ ენის დაუფლების პროცესში;
- 9) ინგლისურის, როგორც უცხოური ენის დაუფლების პროცესში მოსმენის სავარჯიშოების გამოყენების ჩვენება.

კვლევის შეკითხვები

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე საკვლევის პრობლემის შესწავლის მიზნით კვლევაში შევიმუშავეთ შემდეგი კვლევის შეკითხვები:

1. რა როლი ენიჭება მოსმენას ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესში?
2. რა მახასიათებლები გააჩნია ინგლისურის, როგორც უცხოურ ენაზე მოსმენილი ინფორმაციის გააზრების პროცესს?
3. რა დადებითი ასპექტები გააჩნია ტექნოლოგიის გამოყენებას უცხოური ენის უნარების განვითარების პროცესში?
4. რა როლს თამაშობს ტექნოლოგიები ინგლისურის, როგორც უცხოური ენაზე მოსმენილის გააზრების უნარების ფორმირებაში?
5. რა სტრატეგიების გამოყენება შეიძლება მოსმენის უნარების განვითარების პროცესში?

6. რა როლი ენიჭება მოსმენას უცხოური ენის შემსწავლელთა კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარების პროცესში?
7. რა არის კომუნიკაციური კომპეტენციის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ენის შემსწავლელთა მიერ უცხოურ ენაზე მოსმენილი ინფორმაციის გაგება-გააზრებაზე?
8. რა როლს თამაშობს მასწავლებელი ენის შემსწავლელთათვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნის თვალსაზრისით?

კვლევის ჰიპოთეზა

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე კვლევაში შევიმუშავეთ შემდეგი ჰიპოთეზები:

1. თუკი ენის შემსწავლელი ჩართულია ტექნოლოგიების მეშვეობით დაგეგმილ აქტივობებში, მოსმენილის გააზრების უნარ-ჩვევები უფრო სწრაფად ყალიბდება.
2. ენის შემსწავლელი შეიმუშავეს ენის ცოდნის გაუმჯობესების ეფექტურ სტრატეგიებს, თუკი მათ უვითარდებათ სწავლის უნარები.

სიახლე

კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მოსმენილის გააზრება მთავარ როლს თამაშობს კომუნიკაციის დამყარებაში, განსაკუთრებით კი ისეთ კონტექსტში, სადაც ინგლისური კომუნიკაციის საშუალებად გამოიყენება საკლასო როგორც საკლასო ოთახში, ასევე მის გარეთ. კვლევა არის ინოვაციური იმ თვალსაზრისით, რომ მან შეისწავლა ტექნოლოგიების, როგორც მასწავლებელთა და ენის შემსწავლელთათვის სწავლა-სწავლების პროცესში ხელშემწყობის როლი; ტექნოლოგიები ეხმარება მასწავლებელსა და მოსწავლეს ააგოს (მოახდინოს კონსტრუირება) ისეთი კონტექსტი, სადაც ენა გამოიყენება ბუნებრივად რეალური კომუნიკაციის დამყარების მიზნით - რეალური კომუნიკაცია, რომლის მიზანიც არის არა უბრალო ფორმალური და დაგეგმილი კომუნიკაცია მასწავლებელსა და ენის შემსწავლელთა შორის, არამედ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ახლოს არის რეალურ სამყაროსთან, სადაც სოციალურ ურთიერთობების მონაწილეები თავად ირჩევენ, როდის და როგორ

გაფილტრონ ინფორმაცია და როდის და რა ფორმით ჩაერთონ კომუნიკაციაში. ნაშრომი წარმოაგენს სიახლეს, რადგან კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ ტექნოლოგიების მეშვეობით ენის შემსწავლელი უკეთ ივითარებს უცხოურ ენაზე მოსმენილი ინფორმაციის გააზრების უნარებს. ტექნოლოგიების გამოყენება თავისთავად სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ დისერტაციის მეშვეობით შევეცადეთ შეგვემუშავებინა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლა სწავლების სტრატეგიები ტექნოლოგიების მეშვეობით, რაც დაგვეხმარა ენის შემსწავლელის მახასიათებლების დადგენაში. ეს მახასიათებლები განსაზღვრავენ უცხოურ ენაზე მოსმენილი ინფორმაციის გააზრებას; სწორედ ენის შემსწავლელის პიროვნული მახასიათებლები საჭიროებდა შესწავლას, რადგან მოსმენის სავარჯიშოები უმეტესად აქცენტს აკეთებენ მოსმენის დავალებებზე და არა ენის შემსწავლელზე. ტექნოლოგიური მოწყობილობები ენის შემსწავლელს ეხმარება არა მარტო მოსმენის უნარების განვითარებაში, არამედ სწავლის პროცესში სტრესისა და დაძაბულობის მოხსნაში.

კვლევის მნიშვნელობა

მოსმენა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ენის შესწავლის პროცესში. თუმცადა, ბევრი ენის შემსწავლელი პრობლემას აწყდება უცხოურ ენაზე მასალის მოსმენის პროცესში. უნდა გვახსოვდეს, რომ შემსწავლელი ვერ ახერხებს კომუნიკაციაში ჩართვას, თუკი ვერ ახერხებს მოსაუბრის მიერ გადმოცემული გზავნილის გაგებას. ამიტომაც, მოსმენის პროცესში შემეცნებადი ინფორმაციის მიღების გარეშე ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს საკომუნიკაციო ერთეულის ფორმირებას. უცხოური ენის შემსწავლელს მოეთხოვებათ მოსმენის უნარის დაუფლება, მაგრამ რადგან თავად მოსმენი მასალა ხშირად მათთვის მთავარ სირთულეს წარმოადგენს, ისინი ხშირად თავს არიდებენ მოსმენის სავარჯიშოებს, ან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ უნარის განვითარებას. არ არსებობს საკმარისი კვლევა, თუ რა განაპირობებს, რომ ენის შემსწავლელი სწორედ მოსმენას მიიჩნევენ რთულ ენის შესწავლის რთულ ასპექტად. როგორც ვანდერგრეფტი და ბეიკერი (Vandergrift and Baker, 2015, p. 392) განმარტავენ, მოსმენილის გააზრება მოიცავს დეკოდირებას და ინტერპრეტაციას და ეს პროცესები მოითხოვენ ლინგვისტურ (ენობრივ) ცოდნას (სტრუქტურები და

ლექსიკა) და გლობალურ (ან როგორც ავტორები მოიხსენიებენ, „სამყაროს ცოდნა“) ცოდნას, რაც გულისხმობს ენის შემსწავლელის მიერ კულტურათა, ლოკაციების, ტრადიციების, კონტექსტების შესახებ ცოდნის მიღებასა და ამ ცოდნის მუდმივად გაღრმავებას.

თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

დისერტაციას გააჩნია თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:

1. მოცემული კვლევა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლებისათვის აუცილებელი სხვადასხვა სტრატეგიის შესახებ ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა; ეს სტრატეგიები კი ეხმარება მასწავლებელსა და ენის შემსწავლელს მოსმენის უნარების დაუფლების პროცესში;
2. ნაშრომი შეიძლება ღირებული სახელმძღვანელო იყოს დამწყები მასწავლებლებისათვის და ინგლისურის, როგორც უცხოური ენის მასწავლებელთა გადამზადების პროცესში ჩართული მასწავლებელთა ტრენერებისათვის;
3. ნაშრომი ასევე შეიძლება იყოს ღირებული სახელმძღვანელო გამოცდილი მასწავლებლებისათვის, რომლებიც პროფესიული ზრდითა და განვითარებით არიან დაინტერესებული და სურთ თავიანთი ცოდნის გადახალისება და გამოცდილების გაზრდა, თუ როგორ გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები ზოგადად და მოსმენის სწავლების პროცესში;
4. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ფაქტი, რომ კვლევაში მიმოხილულია ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლების შესახებ დღემდე არსებული ცოდნა;
5. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას ასევე განაპირობებს ის, რომ იგი იყენებს, თუმცა სრულად არ ეყრდნობა კოსტრუქცივისტურ მიდგომას; ეს მოდელი გულისხმობს ტექნოლოგიების გამოყენებას ისეთი საკლასო გარემოს შესაქმნას, რომელიც ახლოს არის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტთან, სადაც ენის

შემსწავლელი აკვირდება ენის ავთენტურ გამოყენებას და იღრმავებს არა მარტო ლინგვისტურ, არამედ გლობალურ ცოდნასაც.

კვლევის მეთოდები

საკვლევი საკითხი საკმაოდ კომპლექსურია თავისი ბუნებით; შესაბამისად, იგი მოითხოვს ასევე კომპლექსურ მიდგომას, რასაც ვერ უზრუნველყოფს ცალკეული კვლევის მეთოდოლოგია. ამდენად, დისერტაციაში გამოყენებულია შერეული პარადიგმა - თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომები. ცალკეული მიდგომის ფარგლებში კვლევა გამოიყენა სპეციფიური კვლევის მეთოდოლოგია სათანადო მონაცემების შესაგროვებლად:

- შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და ანალიზი;
- კითხვარები;
- ინტერვიუები;
- ექსპერიმენტი;
- მოპოვებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

კვლევის შემაფერხებელი ფაქტორები

კვლევა წარმოადგენს შემთხვევის ანალიზს მისი ფართო განმარტებით და შემთხვევის ანალიზის ჩარჩოში მკვლევარმა გამოიყენა ექსპერიმენტული მიდგომა - ჩატარდა ექსპერიმენტი, რათა შეგვესწავლა ტექნოლოგიების როლი ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში. თუმცადა, მოცემული კვლევა შემოიფარგლა მხოლოდ იშვიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი პროგრამის სტუდენტების შემთხვევის ანალიზით და იგი მოიცავს მათი სწავლების 10 კვირას. ამდენად, წარმოდგენელია კვლევის შედეგების განზოგადება ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების ყველა კონტექსტზე, მაგრამ შესაძლებელია კვლევამ გარკვეულწილად მოიცვას ერაყის ტერიტორია; შესაბამისად, კვლევის შედეგების და რეკომენდაციების გამოყენება შეუძლიათ ამ კონტექსტში მომუშავე მასწავლებლებს.

თავების ორგანიზება

პირველი თავი განმარტავს მოსმენის ფენომენს და მოსმენის როლს უცხოური ენის შესწავლის პროცესში; ახსნილია მოსმენილი ინფორმაციის გააზრების პროცესის მახასიათებლები და ის, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიების გამოყენება მოსმენის უნარ-ჩვევის გასავითარებლად.

მეორე თავის წარმოადგენს მოსმენის უნარის გასავითარებელ აუცილებელ სტრატეგიებს; თავში განხილულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან მოსმენილი ინფორმაციის გააზრებას. აქვე მოცემულია პრაქტიკული რჩევები და მსჯელობა, როგორ გამოვიყენოთ ტექნოლოგიები ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში, რათა ენის შემსწავლელს დავეხმაროთ მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებაში.

მესამე თავში წარმოდგენილია თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემები და მათ ანალიზი; ენის შემსწავლელთა ყოველკვირეული ქულების ანალიზი მოცემულია გრაფიკების სახით, ხოლო პროგრესი ნაჩვენებია ცხრილების მეშვეობით.

ბოლოს, დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილში მკლევარი წარმოადგენს კვლევის პროცესში მიღწეულ დაკვირვებებს, რომელიც ეფუძნება პირველადი და მეორადი მონაცემების ანალიზს.

თავი 1. ინგლისურის როგორც უცხოური ენის დაუფლების პროცესში მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარების აუცილებლობაზე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

მოსმენის განმარტება

ანდერსონი და ლინში (Anderson and Lynch, 1988) მიიჩნევენ, რომ მოსმენა არის ქმედება, რომელსაც მსმენელი ასრულებს მოსაუბრის გზავნილის გასაგებად; მოსმენილის გააზრების პროცესში მსმენელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რადგან მან უნდა დაამუშაოს მის მიერ მიღებული ინფორმაცია. მოსმენილი თემის შესახებ არსებული ცოდნის გამოყენებით მსმენელი ახდენს გზავნილის გაგება-გააზრებას. ანდერვუდი (Underwood, 1989) მარტივად განმარტავს მოსმენას, როგორც „ქმედებას,

რომელიც წარმოადგენს ჩვენს მცდელობას ყურადღება მივაქციოთ და აღვიქვათ ჩვენს მიერ მოსმენილი ინფორმაციის შინაარსი“ (გვ. 1). მენდელსონი (Mendelsohn, 1994) წარმოადგენს მოსმენის პროცესის სხვა პერსპექტივას და ასკვნის, რომ მოსმენა არის ენის მატარებლის ნათქვამის გაგების მცდელობა. სხვა ენათმეცნიერებიც მოსმენის მსგავს განმარტებას იძლევიან; მაგალითად, ჩასტეინი (Chastain, 1971) მოსმენილის გააზრებას ხსნის როგორც უნარს, გაიაზრო ჩვეულებრივ ტონზე მოსაუბრე ენის მატარებლის საუბარი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ენის მატარებელზე აქცენტის გაკეთება მცდარი მიდგომაა, რადგან ინგლისური სულ უფრო მეტად გამოიყენება არა-ინგლისურენოვანი საზოგადოების მიერ, განსაკუთრებით ისეთ კონტექსტში, სადაც ინგლისურის, როგორც მშობლიური ენაზე მოსაუბრე საერთოდ არ მონაწილეობს. ხშირია შემთხვევები, როდესაც კომუნიკაციის მონაწილე პირები, რომელთათვისაც ინგლისური არ არის მშობლიური ენა, ერთმანეთთან საუბრისას ინგლისურს იყენებენ. ამ პროცესს კარგად ხსნის კაჩრუს (Kachru, 1985) ინგლისური ენის სამ-შრიანი კლასიფიკაცია. იმავე პოზიციას იზიარებს სარიკობანი (Saricoban, 1999), რომელიც მიიჩნევს, რომ მოსმენილის გააზრება არის სხვა ადამიანთა გადმოცემული ინფორმაციის მეტყველების ცნობისა და გაგება-გააზრების პროცესი. ომალი, ჩამოტი და კუპერი (O'Malley, Chamot & Kupper, 1989) გვთავაზობენ უფრო დეტალურ განსაზღვრებას, რომ „მოსმენილის გააზრება არის აქტიური და გაცნობიერებული პროცესი, რომელშიც მსმენელი მნიშვნელობას აგებს კონტექსტუალური ინფორმაციასა და არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით და ამ პროცესში იგი ეყრდნობა მრავალრიცხოვან სტრატეგიულ წყაროებს, რათა შეასრულოს დასახული ამოცანა“ (გვ. 19). ეს განმარტებები გულისხმობს, რომ მოსმენა არის სხვა ადამიანთა მეტყველების გაგება-გააზრება.

ნუნანი (Nunan, 2001, გვ. 23) ამტკიცებს, რომ მოსმენა არის ექვსი ეტაპისაგან შემდგარი პროცესი: გაგონება, ყურადღების მიქცევა, გაგება, დამახსოვრება, შეფასება და რეაგირება (პასუხის გაცემა), და ყველა ეს ეტაპი მიმდინარეობს თანმიმდევრულად:

- გაგონება გულისხმობს ბგერების აღქმას. მოსმენის პროცესში მსმენელმა უნდა გაიგონოს, რათა შესრულდეს მოსმენის ქმედება.

- ყურადღების მიქცევა გულისხმობს, რომ ტვინი ახდენს ამორჩეულ ერთეულებზე კონცენტრირებას.
- გაგება ნიშნავს მსმენელის მიერ გაგონილის ანალიზს. ენის შემსწავლელს ესაჭიროება მოსაუბრის მიერ გამოგზავნილი გზავნილის შინაარსის აგება. ამ ეტაპზე მოსმენილის გააზრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფონური ცოდნა, კულტურის შესახებ ცოდნა, კონტექსტის ცოდნა და ენობრივი ცოდნა.
- დამახსოვრების ეტაპზე ენის შემსწავლელი მეხსიერებაში ინარჩუნებს ინფორმაციას. რადგანაც ენის შემსწავლელი ყურადღებას აქცევს მდოლოდ იმ ინფორმაციას, რომელზეც არის ფოკუსირებული, ისინი გონებაში შერჩევით ინარჩუნებენ ინფორმაციას და მათ მიერ დამახსოვრებული ინფორმაცია დიდად განსხვავდება თავდაპირველად მოსმენილი ინფორმაციისაგან.
- გზავნილის შეფასება გულის მიღებული ინფორმაციის გააზრებას.
- პასუხის გაცემა არის კომუნიკაციის ბოლო ეტაპი, როდესაც ენის შემსწავლელი იძლევა ენობრივ ან არა-ენობრივ უკუკავშირს. პასუხის გაცემის პროცესი გულისხმობს, რომ ენის შემსწავლელი ცდილობს, დარწმუნდეს სწორად გაიგო თუ არა ინფორმაცია.

მოსმენილი გააზრების პროცესი

მოსმენის მიმართ არსებობს ორი მიდგომა: ქვემოდან-ზემოთ და ზემოდან-ქვემოთ; მიიჩნევენ, რომ აუცილებელია მოსმენის უნარების აქტიური სწავლება და როგორც ჰარმერი (Harmer, 2001) ამტკიცებს ამ ორ მიდგომასთან ერთად აუცილებელია ინტერაქტიული მოდელი. ზემოდან-ქვემოთ მოსმენის პროცესში ენის შემსწავლელი მოსასმენი ტექსტის თემატიკასთან დაკავშირებით იგებს ძირითად აზრს. ფლავერდიუმ და მილერმა (Flowerdew & Miller, 1992) შეიმუშავეს ეს მიდგომა და განმარტავენ, რომ „ეს მოდელები ცდილობენ ასახონ მოსმენის პროცესის კომპლექსურობა და შემოიტანონ უცხოურ ენაზე მოსმენის პედაგოგიური მოდელი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ, კულტურულ, სოციალურ, კონტექსტუალურ, აფექტურ, სტრატეგიულ, ინტერ-ტექსტუალურ და კრიტიკულ განზომილებებს” (გვ. 24).


მოსასმენი ტექსტის მთავარი აზრის გასაგებად ენის შემსწავლელთა ფონური ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ ფონური ცოდნა ეხმარება მსმენელს უკეთ აღიქვას ინფორმაცია და გაუადვილდეს მისი ინტერპრეტაცია. ამავე დროს, ფონური ცოდნის დახმარებით ენის შემსწავლელს შეუძლია წინასწარ მიხვდეს რა ინფორმაციას ელოდეს. ფონური ანუ წინარე ცოდნა ასევე ცნობილია, როგორც სქემატური ცოდნა. სელსე-მერსია (Celce-Mursia, 2001) ამტკიცებს, რომ ზემოდან-ქვემოთ პროცესი ენის შემსწავლელს ეხმარება თავი აარიდოს ქვემოდან-ზემოთ მოსმენის გარკვეულ ასპექტებს.

ქვემოდან-ზემოთ მოსმენის პროცესში შინაარსის ასაგებად (კონსტრუირება) ენის შემსწავლელი ყურადღებას ამახვილებს ლექსიკასა და სტრუქტურაზე. ამ დროს ენის შემსწავლელი ცდილობს ფონემებიდან და რთული წინადადებებიდან მოახდინოს ბგერების დეკოდირება. ფონემური ერთეულების დეკოდირების პროცესში ენის შემსწავლელი ქმნის სიტყვებს. სიტყვების დეკოდირების შედეგად ენის შემსწავლელი აგებს ფრაზებს; ფრაზების დეკოდირების მეშვეობით კი ქმნის გამონათქვამებს; გამონათქვამების დეკოდირებას კი მივყავართ კომპლექსური კომუნიკაციური მნიშვნელობის ფორმირებამდე. ჰეჯი (Hedge, 2000) განმარტავს, რომ ენის შემსწავლელი იაზრებს მოსასმენ ტექსტს საკუთარი ენობრივი ცოდნის გამოყენების მეშვეობით, რადგან იგი ბგერებს გარდაქმნის სიტყვებად, რათა უზრუნველყოს მნიშვნელობის გაგება-გააზრება. ეს ამოცანა ენის შემსწავლელისაგან მოითხოვს გრამატიკულ და ლექსიკურ ცოდნას. იგი სწორედ ენობრივი ცოდნის მეშვეობით ახერხებს გზავნილის დეკოდირებას (Rubin, 1994, გვ. 2010). უნდა აღინიშნოს, რომ ზემოდან-ქვემოთ პროცესს ნაკლოვანებებიც გააჩნია, რადგან ამ დროს ენის შემსწავლელს მოსასმენი ტექსტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია ესაჭიროება. ამ ტიპის ცოდნის გარეშე ვერ ხერხდება მიღებული ინფორმაციის სრულად გააზრება. ამ არგუმენტს ლოგიკურად მივყავართ დასკვნამდე, რომ ორივე მიდგომას ესაჭიროება წინარე ცოდნა, რათა მსმენელმა მოახერხოს მოსმენილი ტექსტის ზედმიწევნით სწორად გაგება. შესაბამისად, ჩნდება ორივე მიდგომის კომბინირების საჭიროება, რათა ენის შემსწავლელმა მოახერხოს ორივე მიდგომის დადებითი მხარეების

გამოყენება; ეს კი განაპირობებს ენის შემსწავლელის ფონური ცოდნით აღჭურვის საჭიროებას.

მესამე მოსაზრება მხარს იჭერს ინტერაქტიულ პროცესს. გრემი (Graham, 2006) ამტკიცებს, რომ ენის შემსწავლელი წააწყდება გარკვეულ პრობლემებს როგორც ქვემოდან-ზემოთ, ასევე ზემოდას-ქვემოთ მოსმენის პროცესში და ამ პრობლემების გადაჭრა მხოლოდ ინტერაქტიული მოდელის მეშვეობით არის შესაძლებელი. ინტერაქტიული პროცესი ხელს უწყობს მოსმენილის გაგება-გააზრებას. მეცნიერები თანხმდებიან, რომ როდესაც ხდება ზემოდას-ქვემოთ და ქვემოდას-ზემოთ მოდელების კომბინირება, ენის შემსწავლელი იყენებს თემის შესახებ ფონურ ცოდნას, კონტექსტუალურ ინფორმაციასა და ენობრივ ცოდნას ერთად, რაც უზრუნველყოფს უკეთეს გაგებასა და ინტერპრეტაციას. თუკი ენის შემსწავლელი გაიაზრებს შინაარსს, იგი მოახერხებს ამ კონტექსტის შესახებ მისთვის ცნობილი ფონური ცოდნის გამოყენებას. თუკი იგი ვერ გაიაზრებს შინაარსს, მაშინ გზავნილის გასაშიფრად იგი გამოიყენებს ლინგვისტურ ცოდნას. ეს მიდგომა აჩვენებს, რომ ინფორმაციის დამუშავების ორივე მიდგომას მოსასმენი ტექსტის უკეთ გააზრებამდე მივყავართ.

გრაფიკი 1: ჰარმერის (Harmer, 2001) მიერ შემოთავაზებული მოსმენის პროცესის მოდელები



ტექნოლოგიების როლი მოსმენის გააზრების უნარის სწავლებისას

მოსმენა მნიშვნელოვანი უნარია, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც მასწავლებლმა, ასევე ენის შემსწავლელმა. ენის შემსწავლელს ენობრივი კომპეტენციის გასავითარებლად ესაჭიროება შემეცნებადი ინფორმაცია; სწორედ მოსმენას შეუძლია ენის შემსწავლელის შემეცნებადი ინფორმაციით უზრუნველყოფა. ენობრივი მასალის მოსმენით ენის შემსწავლელი სწავლობს, თუ როგორ გამოიყენებს ენის მატარებელი ენას და იგიც მას მიზამავს. ამდენად, მოსმენით მასალა ენის შემსწავლელისათვის კარგ მოდელს წარმოადგენს. მოსმენილის გააზრება ეხმარება ენის შემსწავლელს თავიანთი გზავნილის გადმოცემაში. იგი ენის მატარებლისაგან სწავლობს, თუ როგორ გამოიყენოს ენა რეალურ სიტუაციაში. მოსაუბრის გზავნილის გააზრების გარეშე ენის შემსწავლელს არ შეუძლია პასუხის გაცემა. სწორედ ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მოსმენა დიდ გავლენას ახდენს სხვა ენობრივი უნარების ფორმირებაზე.

ბოლო დროს ტექნოლოგიები ინტენსიურად გამოიყენება სასწავლო გარემოში მოსმენის უნარის ფორმირებისა და განვითარებისათვის. ენის შემსწავლელი უკვე აღარ კმაყოფილდება სწავლა-სწავლების ტრადიციული ემთოდებით. სწორედ ამიტომ, ტექნოლოგიებზე დაბუძნებული განათლება დიდ მნიშვნელობას იძენს. ტექნოლოგიების გამოყენება ენის შემსწავლელს წახალისებს უკეთ სწავლისათვის. ტექნოლოგიის მეშვეობით შექმნილი და მასალა შემსწავლელს უადვილებს ენობრივი მასალის უკეთ გაგება-გააზრებას. ენის შემსწავლელს უკეთ უფითარდება მოსმენის უნარი თუკი სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია ტექნოლოგიები. საკლასო გარემოში ტექნოლოგიების გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.

თავი 2. ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლების პროცესში მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებისათვის ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკული ბაზისი და მეთოდოლოგია

მოსმენის უნარების განვითარების სტრატეგიები

სტრატეგიების მეშვეობით შესაძლებელია სწაბლის პროცესის გაკონტროლება. ვანდერგრისტი (Vandergrift, 1999) ამტკიცებს, რომ სტრატეგიების დაუფლება აუცილებელია მოსმენილის გასააზრებლად, რადგან სტრატეგიების მეშვეობით ენის შემსწავლელი თავადვე აფასებს გაგება-გააზრების ხარისხს.

ტერმინი „სტრატეგიები“, რაც ნიშნავს „ტექნიკას ან მოწყობილობას, რომლის გამოყენებაც შეუძლია ენის შემსწავლელს ცოდნის მისაღებად“, ენის სწავლებაში პირველად გამოიყენა რუბინმა (Rubin, 1975, გვ. 43). ოქსფორდი (Oxford, 1990) გამოყოფს ეტაპებს, რომელსაც ენის შემსწავლელი გამოიყენებს ენის უკეთ დასაუფლებლად: მეხსიერების სტრატეგიები (ენის შემსწავლელი როგორ იმახსოვრებს ენას), კოგნიტური სტრატეგიები (ენის შემსწავლელი როგორ იაზრებს საკუთარი სწავლის პროცესს), კომპენსაციის სტრატეგიები (ეხმარება ენის შემსწავლელს შეზღუდული ცოდნის შევსებაში), მეტაკოგნიტური სტრატეგიები (როგორ მართავს ენის შემსწავლელი საკუთარი სწავლი პროცესს), აფექტური სტრატეგიები (ენის შემსწავლელის ემოციები) და სოციალური სტრატეგიები (ენის შემსწავლელი კომუნიკაციას ამყარებს სხვა ადამიანებთან). ანდერსონი (Anderson, 2003) დამატებით განმარტავს ტერმინს როგორც „გააზრებულ ქმედებას, რომელსაც ენის შემსწავლელი ახორციელებს ენის შესწავლის გასაუმჯობესებლად“ (გვ. 3). მეცნიერი ამტკიცებს, რომ ეს ენის შემსწავლელი ამ სტრატეგიებს იყენებს, მაგალითად, როდესაც ჩანაწერებს აკეთებს ლექციის დროს, რათა მიღებული ინფორმაცია სხვა წყაროს შეადაროს; ან კიდევ, როდესაც ენის შემსწავლელი ცდილობს მენტალური გამოსახულების შექმნას ტექსტში ამოკითხული ინფორმაციის მანამდე არსებულ ცოდნასთან დაკავშირების მიზნით.

ენის შესწავლა დამოკიდებულია მოსმენაზე. იგი ენის შემსწავლელს აწვდის სმენით შემეცნებად ინფორმაციას, რაც მას ჭირდება ენის დასაუფლებლად და ეხმარება მას ინტერაქტიული კომუნიკაციის დამყარებაში. შემეცნებადი ინფორმაციის მიღების პროცესი დამოკიდებულია შესასწავლი თემის შესახებ არსებულ ფონურ ცოდნაზე. უფრო მეტიც, კონტექსტი და ტექსტის ტიპი მნიშვნელოვან როლს თამაშობს

შემეცნებადი ინფორმაციის დამუშავების პროცესში. ფონური ცოდნა ენის შემსწავლელს ეხმარება ინტერპრეტაციაში. როდესაც მას გააჩნია გარკვეული წინარე ცოდნა, მათ მიერ მოსმენილი მასალის გააზრების უნარი მეტად ვითარდება, რაც ეხმარება გაგების პროცესს. ამდენად, როგორც შარმა (Sharma, 2011, გვ. 13) განმარტავს, მსმენელზე დაფუძნებული სტრატეგიები მოითხოვენ:

- მასალაში მოცემული მთავარი აზრის მოსმენას
- მასალაში გარკვეული ფაქტების წინასწარ მიხვედრას
- დასკვნების გამოტანას
- გარკვეული ინფორმაციის უგულებელყოფას

მოსასმენი მასალის ენას მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაგება-გააზრებაში. მასალის ენობრივ დონესთან შესაბამისობა დიდ გავლენას ახდენს შემეცნებადი ინფორმაციის დამუშავებაზე. სიტყვები, გრამატიკა და წარმოთქმა საკვანძო ფაქტორებია გააზრების პროცესში. მოსასმენი მასალა უნდა შეესაბამებოდეს ენის შემსწავლელის ენობრივ კომპეტენციას. რთული მოსასმენი ტექსტები ვერ დაეხმარება ენის შემსწავლელს ენის დაუფლებაში. შარმის განმარტებით (Sharma, 2011, გვ. 14) ტექსტზე დაფუძნებული სტრატეგიები მოითხოვს:

- სპეციფიური ინფორმაციის მოსმენას
- ერთ ფუძესთან დაკავშირებული სიტყვების ცნობას
- სიტყვათა წყობის მოდელის ცნობას

რუბინმა (Rubin, 1987) ეს კატეგორიები სამად დააჯგუფა:

- სწავლის სტრატეგიები
- კომუნიკაციის სტრატეგიები
- სოციალური სტრატეგიები

სწავლის სტრატეგიები ხელს უწყობს ენის სისტემის ფორმირებას. ენის შემსწავლელი იყენებს ამ სტრატეგიებს სწავლის პროცესის ხენშეწყობის მიზნით; სწავლის სტრატეგიები გავლენას ახდენს თავად სწავლის ხარისხზე. კომუნიკაციის და სოციალური სტრატეგიები უშუალოდ არ არიან დაკავშირებული სწავლის პროცესთან,

მაგრამ მათ მეშვეობით ენის შემსწავლელი ერთგვარაა შინაარსიან კომუნიკაციაში, რომელიც ახლოს არის რეალურ კონტექსტთან. ომალი და სხვები (O'Malley et al., 1990) სწავლის სტრატეგიებს ასევე სამად აჯგუფებენ:

- ✓ კოგნიტური
- ✓ მეტა-კოგნიტური
- ✓ სოციალურ/აფექტური

კოგნიტური სტრატეგია მოიცავს გონებრივ მანიპულაციას ანუ ენობრივი მასალის ტრანსფორმაციას, რომლის მიზანიც არის გაგება-გააზრების ხელშეწყობა, რასაც საბოლოოდ ენის დაუფლებამდე მივყავართ (O'Malley & Chamot, 1990). მეტაკოგნიტური სტრატეგია მოიცავს ცოდნას სწავლის პროცესის შესახებ. ეს არის სტრატეგია, რომელიც ენის შემსწავლელისაგან მოითხოვს, იფიქროს სწავლის პროცესზე. ამ სტრატეგიის მეშვეობით ენის შემსწავლელი გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს; უფრო მეტიც, ენის შემსწავლელი დავალების დასრულების შემდეგ ახდენს საკუთარი სწავლის თვით-შეფასებას. სოციალურ/აფექტური სტრატეგიები გულისხმობს თანამშრომლობასა და შეკითხვების დასმას.

მეტაკოგნიტური და კოგნიტური სტრატეგიების განვითარება მნიშვნელოვანია სწავლის პროგრესისათვის. ომალი (O'Malley, 1990) ამტკიცებს, რომ ენის შემსწავლელს, რომელიც არ ფლობს მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს, არ გააჩნია საკუთარი პროგრესის მონიტორინგის უნარი. ამ ტიპის ენის შემსწავლელს არ შეუძია საკუთარი სწავლის პროცესის გაძლოლა და შედეგად საკუთარ მიღწევებსაც ვერ აფასებს. კოგნიტურ სტრატეგიებს კი ქვე-კატეგორია გააჩნია: დედუქციური სტრატეგია, რომელიც გულისხმობს ენის გააზრების წესების სწორად გამოყენებას. ენის შემსწავლელი დისკურსის, სოცო-კულტურული და სტრუქტურული წესების გამოყენებით თავად ირჩევს სტრატეგიას.

ვენდენი (Wenden, 1998) ამტკიცებს, რომ მეტაკოგნიტური სტრატეგიების მეშვეობით ენის შემსწავლელი შემდეგ უპირატესობას ეუფლება:

1. ენის შემსწავლელს შეუძლია სწავლის სტრატეგიების გამოყენება

2. ენის შემსწავლელის უფრო სწრაფად სწავლობს და ახდენს ცოდნის უკეთ ინტეგრირებას
3. ენის შემსწავლელის საკუთარ თავს მუდმივ მიმღებად განიხილავს და შეუძლია ყველა კონტექსტს წარმატებით გაართვას თავი
4. ენის შემსწავლელი თავდაჯერებულია და ამის გამო საჭიროების შემთხვევაში მას არ უჭირს ითხოვოს დახმარება
5. ენის შემსწავლელი აფასებს, თუ რა აქცევს მას ყურადღებიან მსმენელად
6. დავალების შესრულებისას ენის შემსწავლელს შეუძლია იოლად გაუმკლავდეს ნებისმიერ პრობლემას
7. დავალების ტიპიდან გამომდინარე ენის შემსწავლელს შეუძლია იოლად ადაპტირება

ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მოსასმენი მასალის გაგება-გააზრება

ჩვენ ვხედავთ, რომ ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა სწრაფად იზრდება და მას გადამწყვეტ როლს ანიჭებენ სწავლის პროცესის გაიოლების თვალსაზრისით. შესაბამისად, განათლების ბევრი სპეციალისტი აღიარებს, რომ ტექნოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ენის სწავლა-სწავლების ხელშეწყობის კუთხით. ამიტომ, ტექნიკურ მოწყობილობებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას თანაბარი წარმატებით შეუძლიათ ენის შემსწავლელს დიდი არჩევანი შესთავაზოს ენის შესწავლის პროცესში (Bork, 1985; Papert, 1980; Ragosta, 1983).

მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარებაზე ორიენტირებული სავარჯიშოებს ხშირად თან ახლავთ აუდიო ფაილები (ვიდეო ან აუდიო ფორმატში) და დამატებითი სასწავლო რესურსები (ჰენდაუტები). ამავე დროს, ენის შემსწავლელის მოსმენის გააზრების უნარის გასავითარებლად ჩვენ შეგვიძლია საკლასო ოთახში გამოვიყენოთ სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა, როგორცაა კომპიუტერული მოწყობილობები და პროგრამული უზრუნველყოფა (VCD, DVD, და CD-ROM). ეს მოწყობილობები ზრდიან ენის შემსწავლელის მოტივაციას, ჩაერთოს მოსმენის უნარის განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში.


ინგლისური ენის სწავლა-სწავლების მნიშვნელობის გაზრდასთან ერთად იზრდება კვალიფიციური პედაგოგების საჭიროება, რომელთაც შეუძლიათ ტექნოლოგიების სასწავლო გარემოში ინტეგრირება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მასწავლებელს აქვს უნარი სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად გამოიყენოს ტექნოლოგიები, მათი უმეტესობა მაინც ტრადიციულ, და ხშირად მოძველებულ სისტემას ანიჭებს უპირატესობას (Ghavifekr et al., 2016). თუმცადა, ტრადიციული მიდგომები არ არის ეფექტური ახალი ტიპის მოსწავლეთა, განსაკუთრებით კი, ენის შემსწავლელთა მიმართებაში, რადგან მათ ესაჭიროებათა უახლეს ინფორმაციასთან წვდომა სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის მეშვეობით; ინგლისური ენის შემსწავლელზე ხაზგასმა აუცილებელია, რადგან ისინი ენას სწავლობენ სპეციფიური მიზნით და შესაბამისად, სწავლის მიზნები განსაზღვრულია თანამედროვე მოთხოვნების მიერ (Ghavifekr et al., 2016). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენის დაუფლების პროცესის ყველა ასპექტში, განსაკუთრებით კი, მოსმენის უნარის განვითარების კუთხით.

სცენდეფი (Szendeffy, 2005) ამტკიცებს, რომ ტექნოლოგიები მნიშვნელოვანია როგორც ენის შემსწავლელის, ასევე მასწავლებლისათვის სასწავლო მასალის შემუშავების თვალსაზრისით. ეს ბუნებრივია ტექნოლოგიების განვითარების გამო, რადგან ახალი აპლიკაციები უკეთეს შესაძლებლობებს იძლევა ეფექტური და შინაარსიანი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. თანამედროვე ტექნოლოგიები მასწავლებელსა და ენის შემსწავლელს ეხმარება სოციალურად კონსტრუირებული გარემოს შექმნაში, როემლის ახლოს არის რეალურ კონტექსტთან, სადაც ხდება ენის ავტენტური გამოყენება. მაკარტიმ (McCarty, 2005) შეისწავლა სხვადასხვა საშუალება და მათი როლი ენის პროგრამების მეშვეობით მოსმენის უნარის განვითარებაში და დაასკვნა, რომ რესურსები, რომლებიც უშუალოდ სწავლა-სწავლების მიზნით არ არის შექმნილი, ზრდის ენის შემსწავლელის ცნობისმოყვარეობას და მოტივაციას, რადგან ადამიანი იაზრებს, რომ იგი არ სწავლობს, არამედ სამიზნე ენაზე უსმენს სხვადასხვა მასალას მხოლოდ გართობის მიზნით; ამას გადრა, ენის შემსწავლელი ხვდება, თუ რატომ უნდა შეასრულოს მოსმენის სავარჯიშოები და ჩაერთოს ინგლისურ ენაზე კომუნიკაციაში, რადგან თავად ურთიერთობა რეალურ აზრს იძენს მათთვის. ეს კი

უზრუნველყოფს, რასაც ზემოთ ვუწოდეთ, სოციალურად კონსტრუირებულ გარემოში გამიზნული სწავლა; გარემო არის სოციალურად კონსტრუირებული, რადგან ენის შემსწავლელი ნათლად ხედავს საკუთარ როლს კომუნიკაციაში, როგორც ამ კომუნიკაციის სრულფუნქციური წევრის როლს; ამას კი მოყვება სწავლის აუცილებლობის გააზრება.

მკვლევარის მიერ შემუშავებული ქვემოთ მოცემული გრაფიკი წარმოადგენს იმ ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და აპლიკაციებს, რომელთა ინტეგრირებაც შესაძლებელია სწავლა-სწავლების პროცესში.

გრაფიკი 2: ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მოსმენის გაგების უნარის კომპონენტები; წყარო: მკვლევარი



თავი 3. კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი

კვლევის კონტექსტი

კვლევა ჩატარდა იშვიკის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის მიზანია ხარისხიანი განათლების მიწოდება ერაყელი სტუდენტებისათვის შვიდი წლის განმავლობაში. უნივერსიტეტში სწავლების ენა არის ინგლისური. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მაღალი ენობრივი კომპეტენცია. იმისათვის, რომ სტუდენტები

კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას, იშიკის უნივერსიტეტს აქვს მოსამზადებელი სკოლა, სადაც სტუდენტები გადიან ინტენსიური ინგლისური ენის პროგრამას. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ სტუდენტები ინგლისურ ენაში წერენ დონის განმსაზღვრელ ტესტს და ამ ტესტის შედეგების მიხედვით ხდება მათი ჯგუფებში გადანაწილება.

კვლევის მონაწილეების შერჩევა

მოცემული კვლევის მონაწილეების იყვნენ იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელი სკოლის სტუდენტები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მკვლევარს ექსპერიმენტის ჩატარების უფლება მისცა. მკვლევარმა სტუდენტებს აუხსნა ექსპერიმენტის ხასიათი და მიზნები და მათგან მიიღო ექსპერიმენტში მონაწილეობის შესახებ ინფორმირებული თანხმობა. სტუდენტებს ასევე განუმარტეს, რომ მათი ჩართულობა უარყოფით გავლენას არ მოახდენდა მათ აკადემიური მოსწრებაზე.

ექსპერიმენტში ჩაერთო ორი ჯგუფი: ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფი. იშიკის უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს ენობრივი კომპეტენციის განმსაზღვრელ ტესტს, რათა დადგინდეს უნივერსიტეტში ჩარიცხულის სტუდენტების ინგლისური ენის ფლობის დონე. მიღებული ქულების მიხედვით სტუდენტებს განათავსებენ სხვადასხვა დონეზე. კვლევის დაწყების მომენტში იშიკის უნივერსიტეტის მოსამზადებელ სკოლას ყავდა წინა-საშუალო დონის 5 ჯგუფი (100 სტუდენტი). თითოეულ ჯგუფში შედიოდა 20 სტუდენტი. კვლევისათვის შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა 2 ჯგუფი. წინა-საშუალო დონის ჯგუფის ჩართულობა განაპირობა მოსაზრებამ, რომ ამ დონის ენის შემსწავლელელებთან მუშაობა მკვლევარს მეტი სტრატეგიის, მიდგომებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების დატესტვის შესაძლებლობას მისცემდა. ექსპერიმენტის მიზანი იყო საკლასო ოთახში და მის გარეთ ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა მიდგომის შესწავლა; უფრო დაბალი ენობრივი კომპეტენციის მქონე სტუდენტებთან ექსპერიმენტის ჩატარება გაჭირდებოდა, რადგან ექსპერიმენტში ჩართულობა დამატებით სირთულეებს შეუქმნიდა სტუდენტებს. ორ ჯგუფში შემავალი სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის საერთო დონე დიდად არ განსხვავდებოდა.

კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები და პროცედურები

კვლევაში გამოყენებულ იქნა როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. რადგან გარკვეული ცოდნისა და უნარების შეძენა სოციალურ ფენომენს წარმოადგენს, სტუდენტების გრძნობები და ემოციები, ასევე მათი უნარების ფორმირების პროცესი მოექცა კვლევის ცენტრში. შესაბამისად, კვლევაში გამოვიყენეთ თვისებრივი მიდგომა, რადგან იგი წარმოადგენს საუკეთესო პარადიგმას ხსენებული პროცესების შესწავლის თვალსაზრისით. თვისებრივი მიდგომა დაგვებმარა, სხვადასხვა პერსპექტივიდან შეგვესწავლა სწავლა-სწავლების პროცესი, სტუდენტებისა და მასწავლებლების მოსაზრებები მოსმენის უნარ-ჩვევების სწავლა-სწავლების შესახებ. ინტერვიუში მონაწილეთა მცირე რაოდენობის გამო შეგროვებული მონაცემები თვისებრივი ხასიათის იყო, რამაც არ მოგვცა კვლევის შედეგების განზოგადების შესაძლებლობა, მაგრამ დაგვებმარა უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა ინგლისურის, როგორც უცხოურ ენაზე მოსმენის პროცესი. კონტენტ-ანალიზის მეშვეობით შევისწავლეთ მოპოვებული მონაცემები, რომლებმაც მართალია დაადასტურეს ჰიპოთეზა, მაგრამ ამ შედეგების განზოგადება შეუძლებელია. კვლევამ შეისწავლა მოსმენის გააზრების უნარის ფორმირების პროცესში ტექნოლოგიის როლი. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება და ქცევა ყურადღებით გამოვიკვლიეთ. დაკვირვებამ მოგვცა დამატებითი თვისებრივი ტიპის მონაცემები. სტუდენტების ყოველკვირეული ტესტების შედეგებზე დაყრდნობით კვლევამ ასევე შეაგროვა რაოდენობრივი მონაცემები, რამაც შესაძლებელი გახადა ორი ჯგუფის შედარება. რაოდენობრივი მიდგომა დაგვებმარა შედეგების რიცხობრივ ფორმატში დამუშავებაში. კვლევაში დამატებით ჩავატარეთ ინტერვიუ 10 სტუდენტთან და 5 ენის ინსტრუქტორთან. ასევე დავამუშავეთ გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები. მკვლევარს მიეცა შესაძლებლობა გამოკითხვის შედეგები შეედარებინა ინტერვიუს მეშვეობით მიღებულ მონაცემებთან. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა 10 კვირის განმავლობაში და პროცედურის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

ცხრილი 1: ენის შემსწავლელების მიერ საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფში შესრულებული აქტივობები

ექსპერიმენტული ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი
სტუდენტებს ჰქონდათ ყოველკვირეული გამოცდა, რომელიც შედგებოდა 50 შეკითხვისაგან.	სტუდენტებს ჰქონდათ ყოველკვირეული გამოცდა, რომელიც შედგებოდა 50 შეკითხვისაგან.
მოსასმენი ტექსტის დონე იყო წინა-საშუალო.	მოსასმენი ტექსტის დონე იყო წინა-საშუალო.
სტუდენტები უსმენდნენ ორ მოსასმენ ტექსტს დამოუკიდებლად სახლში ან მათთვის სასურველ ადგილას; თუკი გადაწყვეტდნენ, მათ შეეძლოთ დამატებით მოესმინათ სხვადასხვა მასალა.	სტუდენტებს ეძლეოდათ დამატებით მოსასმენი მასალა ლექტორის ხელმძღვანელობის პირობებში დამატებითი საკონსულტაციოს საათების განმავლობაში მთელი ექსპერიმენტის მსვლელობისას.
სტუდენტებს მიეწოდებოდათ გარკვეული წინარე ინფორმაცია მოსასმენი მასალის შესახებ და მათ ასევე ეძლეოდათ დამატებითი წყაროები თემატიკის ირგვლივ. მოსმენილის გასააზრებელი შეკითხვებს პასუხს ცემდნენ საკლასო ოთახში.	სტუდენტებს მოსასმენი მასალისათვის მიეწოდებოდათ ფონური ცოდნა და გასააზრებელ სავარჯიშოებს აკეთებდნენ საკლასო ოთახში.
საკლასო ოთახში შესრულებულ სავარჯიშოებზე დამატებით ენის შემსწავლელები ასრულებდნენ მოსმენამდე, მოსმენის მსვლელობისას და მოსმენის შემდგომ სავარჯიშოებს დამატებითი საკონსულტაციოს საათების დროს პირველი სამი კვირის განმავლობაში, რათა მკვლევარი დარწმუნებულიყო, რომ მათ აქვთ საბაზისო მოსმენის ტექნიკა.	საკლასო ოთახში შესასრულებელ სავარჯიშოებზე დამატებით ენის შემსწავლელების ასრულებდნენ მოსმენამდე, მოსმენის მსვლელობისას და მოსმენის შემდგომ სავარჯიშოებს დამატების საკონსულტაციოს საათების დროს მთელი კვლევის განმავლობაში ლექტორ-მკვლევარის ზედამხედველობის პირობებში.
ენის შემსწავლელები უსმენდნენ ყოველკვირეული გამოცდის ფორმატის მსგავს მოსასმენ მასალას; თუმცა, მათ ასევე ეძლეოდათ დამატებითი მოსასმენი მასალა.	ენის შემსწავლელებსი უსმენდნენ ყოველკვირეული გამოცდის ფორმატის მსგავს მოსასმენ მასალას ლექტორ-მკვლევარის ინსტრუქციების და ხელმძღვანელობის პირობებში.

<p>საგამოცდო მასალის ფორმატი მსგავსი იყო კვირის განმავლობაში შესრულებული სავარჯიშოებისა. თუმცა, ექსპერიმენტის მესამე კვირის შემდეგ გამოცდაში შედიოდა სავარჯიშო, რომლის ფორმატიც უცნობი იყო ენის შემსწავლელისათვის.</p>	<p>გამოცდაში შედიოდა მთელი კვირის განმავლობაში შესრულებული სავარჯიშოების მსგავსი ფორმატის დავალებები.</p>
--	---

ყოველკვირეული გამოცდების საფუძველზე შეგროვდა მონაცემები. ენის შემსწავლელს ჰქონდათ ყოველკვირეული გამოცდა და მათი ქულები კვლევაში პირველად მონაცემებად გამოვიყენეთ. ათი კვირის განმავლობაში ექსპერიმენტული ჯგუფის ენის შემსწავლელები უსმენდნენ მეტ ტექსტს დამოუკიდებლად ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების კი მოსასმენ დავალებებს ასრულებდნენ ლექტორ-მკვლევარის ხელმძღვანელობით ლექტორის მიერ ნასწავლები სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები მინი-ტესტებს ასრულებდნენ დამატებითი საკონტაქტო საათების დროს ექსპერიმენტის პირველი სამი კვირის განმავლობაში. ექსპერიმენტის დანარჩენ პერიოდში ისინი მუშაობდნენ დამოუკიდებლად მათ მიერვე შერჩეულ მასალაზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ყურადღების გარეშე იყვნენ დატოვებული. Skype-ის, Google+-ის და Edmodo-ს გამოყენებით სტუდენტებსა და ლექტორ-მკვლევარს შორის მიმდინარეობდა კომუნიკაცია ვირტუალურ სივრცეში, რომლის დროსაც სრულდებოდა ინტერაქტიული სავარჯიშოები და ლექტორ-მკვლევარი სტუდენტებს აძლევდა დამატებით ინსტრუქციებს. ენის შემსწავლელებს იდენტური სავარჯიშოები ეძლეოდათ ყოველკვირეული გამოცდისათვის. კვლევის მსვლელობისას ენის შემსწავლელებს ჰქონდათ სამი მნიშვნელოვანი ტესტი: პრე-ტესტი, შუა-პერიოდის ტესტი და პოსტ-ტესტი. სტუდენტებს ოტივე ჯგუფში მიეცათ იდენტური ტესტები და მათი ქულები გამოვიყენეთ მათი აკადემიური მოსწრების გასაანალიზებლად.

ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფის ენის შემსწავლელები ვარჯიშობდნენ მოსმენის სტრატეგიებში ტესტებისათვის მოსამზადებლად. პრე-ტესტის

სავარჯიშოებში გაეცნენ მოსასმენი ტექსტის თემატიკა, მიეწოდათ დამატებითი ინფორმაცია, რათა უკეთ გაეაზრებინათ მოსასმენი ტექსტის შინაარსი. ამან ხელი შეუწყო მათ მიერ მოსმენილის უკეთ გააზრებას. ლექტორმა ასევე აუხსნა მათ უცნობი ლექსიკა და სტრუქტურები. შუა პერიოდის ტესტის დროს სტუდენტებმა შეასრულეს სხვადასხვა ტიპის დავალება - ლექსიკის შინაარსის ამოცნობა, სტრუქტურების ამოცნობა, დამაკავშირებელი სიტყვები, აზრების დაკავშირება, დეტალების მოსმენა, სპეციფიური ინფორმაციის მოსმენა, ძირითადი შინაარსის გააზრება, ზოგად გააზრებასთან დაკავშირებული სავარჯიშოები, დასკვნის გამოტანაზე ორიენტირებული სავარჯიშოები და ა.შ. პოსტ-ტესტის დროს ენის შემსწავლელებს დამატებით მოეთხოვათ თემის ირგვლივ თავიანთი მოსაზრების გამოხატვა.

საკონტროლო ჯგუფში ლექტორი-მკვლევარი ცდილობდა სტუდენტების მოტივაციის გაზრდას მუდმივი თანადგომისა და დამატებითი ინსტრუქციის მიწოდების მეშვეობით, რაც გულისხმობდა ახალი მასალის ახსნას, მოსმენის სტრატეგიების სწავლებას, რაც სტუდენტებს გაუადვილებდა მოსმენის დავალებების შესრულებას და გააუმჯობესებდა მათ აკადემიურ მოსწრებას. მკვლევარმა ასევე გამოიყენა გარკვეული დამატებითი მასალა საკლასო ოთახში ან დამატებითი საკონსულტაციო საათების განმავლობაში (BBC Learning, CNN Teaching და სხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალები); თუმცადა, ძირითადი სხვაობა საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებს შორის იყო ინსტრუქციის ტიპი. როგორც უკვე ვახსენეთ, პირდაპირი სწავლება გამოვიყენეთ საკონტროლო ჯგუფში, ხოლო ექსპერიმენტულში კი მოტივაციის კომპონენტს წარმოადგენდა კონსტრუქტივისტური მიდგომა - კომუნიკაციის პლატფორმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტების მეტ დამოუკიდებლობასა და ავტონომიას, რადგან სტუდენტები თავად ირჩევდნენ მოსასმენი მასალის შინაარსს და ერთმანეთთან და ლექტორთან კომუნიკაციის მეთოდს. საკომუნიკაციო პლატფორმები იყო Wiki, WhatsApp, Facebook და ა.შ., რომლებიც კომუნიკაციისათვის გამოვიყენეთ ფორმალურ გარემოს მიღმა. ექსპერიმენტის დროს აქტიურად გამოვიყენეთ Skype-ის ფუნქციები - Skype-ის საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელიც დაგვცხმარა ვიდეო კონფერენციების მოწყობაში სტუდენტებთან, კონფერენციის ტუმრებთან, ვირტუალური მოგზაურობის

მოსაწყობად და ენის მატარებლისაგან საინტერესო ინფორმაციის მისაღებად. პლატფორმამ უზრუნველყო აქტიური ინტერაქცია, თუმცა გულახდილად რომ ვთქვათ, სტუდენტების ჩართულობა საწყის ეტაპზე საკმაოდ შეზღუდული იყო ენობრივი კომპეტენციის, კულტურული ასპექტებისა და ნერვიულობის გამო. Google+ ონლაინ პლატფორმა Hangouts აქტიურად გამოვიყენებთ და სტუდენტებმა შეძლეს მოსმენისა და საუბრის უნარების დახვეწა. BBC Learning, განსაკუთრებით კი 6-minutes English გამოვიყენეთ როგორც სასწავლო მასალა, რაც სტუდენტებს დაეხმარა ავტენტური მასალისათვის მოსმენის კუთხით. BBC-ს სტატების ადაპტირებული ვერსიები სტუდენტებს დაეხმარა ეგრძნოთ, რას ნიშნავს რეალურ კომუნიკაციაში ჩართვა. ასევე გამოვიყენეთ CNN-ის სასწავლო მასალები; ორივე წყაროს მოსმენა სტუდენტებს დაეხმარა ბრიტანული და ამერიკული წარმოთქმის გაცნობაში. სტუდენტებს ასევე ვურჩევდით მოესმინათ podcast-ისთვის, რომლის გადმოწერა და დაინსტალირება საკმაოდ იოლია მობილური ტელეფონისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით.

როგორც უკვე აღინიშნა, საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებს შორის სხვაობა იყო კომუნიკაციის მოდელი ლექტორსა და სტუდენტებს შორის. საკონტროლო ჯგუფის სტუდენტები სწავლობდნენ ლექტორის მიერ განსაზღვრულ კონტექსტში და მათ ეძლეოდათ დამეტებით ინსტრუქციები (რეგულარულ 4 საათზე დამატებით 3 საკონტაქტო საათის განმავლობაში); ექსპერიმენტულ ჯგუფში კი სტუდენტები დამატებით სავარჯიშოებს ასრულებდნენ დამოუკიდებლად ან ლექტორ-მკვლევართან ერთად ონლაინ კომუნიკაციის პირობებში.

ორივე ჯგუფში შემავალ სტუდენტებს ჰქონდათ პრე-ტესტი. ტესტი შედგებოდა 50 შეკითხვისაგან და თემატიკა აღებული იყო საგანმანათლებლო საუბრებიდან ან მოკლე ლექციებიდან. მე-7 კვირაში სტუდენტებს ჰქონდათ შუა-ტესტი, რომელიც ასევე შედგებოდა 50 შეკითხვისაგან. ბოლოს კი ენის შემსწავლელებმა დაწერეს პოსტ-ტესტი კურსის დამთავრებისას მე-10 კვირის შემდეგ. სტუდენტების მიერ მიღებული ქულები ასახულია დისერტაციაში მოცემულ გრაფიკებში და ასევე განხილულია მათი პროგრესი.

ცხრილი 2: პრე-, შუა- და პოსტ-ტესტის ჩატარების დროები

ტესტი	კვირა
პრე-ტესტი	1
შუა-ტესტი	7
პოსტ-ტესტი	10

მონაცემთა ანალიზი

კვლევის დაწყებამდე ჩატარებული კითხვარის ანალიზი

ლექტორმა-მკვლევარმა ორივე ჯგუფში გამოკითხა სტუდენტები, რათა გაეგო მათი მოსაზრებები მოსმენის უნარის განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტებს დაურიგდათ კითხვარები ექსპერიმენტის დაწყებამდე, რაც მიზნად ისახავდა სტუდენტების მოსაზრების გაგებას და მათი დადებითი განწყობის შექმნას მოსმენის უნარის მიმართ. ლექტორმა-მკვლევარმა მოკლედ გააცნო სტუდენტებს მოსმენის სავარჯიშოების მიზანი, პროცედურები და საბოლოო მისაღწევი შედეგები. მოგვიანებით სტუდენტებს დაურიგდათ კითხვარი და შეკითხვები მიზნად ისახავდა იმის გარკვევას, შეიქმნეს სტუდენტებმა თუ არა წარმოდგენა მოსმენის როლისა და დანიშნულების შესახებ. სტუდენტების მოსაზრებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი 3: საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების მოსაზრებები მოსმენის შესახებ

ექსპერიმენტული ჯგუფი	საკონტროლო ჯგუფი
მოსმენა აუმჯობესებს გაბმულად მეტყველების უნარს	მოსმენა აუმჯობესებს გაბმულად მეტყველების უნარს
მოსმენა ავითარებს ლექსიკას, გრამატიკის ცოდნას და მოსმენილის გააზრების უნარს	მოსმენა ავითარებს ლექსიკას, გრამატიკის ცოდნას და მოსმენილის გააზრების უნარს
მოსმენა აუმჯობესებს წარმოთქმას	მოსმენა აუმჯობესებს წარმოთქმას

მოსმენა ხელს უწყობს კომუნიკაციას	მოსმენა ხელს უწყობს კომუნიკაციას
მოსმენა ხელს უწყობს სხვა ენობრივი უნარების განვითარებას	მოსმენა ხელს უწყობს სხვა ენობრივი უნარების განვითარებას
მოსმენა ავითარებს თავდაჯერებულობას	მოსმენა ავითარებს თავდაჯერებულობას


რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ამ ქვეთავში მოცემულია პრე-ტესტის შედეგები. სტუდენტს შეეძლო მაქსიმუმ 100 ქულის მოპოვება; ტესტი შედგებოდა 50 შეკითხვისაგან; ქულები დალაგებულია დადმავალი ტენდენციით და სტუდენტებს შემთხვევითობის პრინციპით მიენიჭათ კოდები. ეს კოდები კვლევაში თანმიმდევრულად არის გამოყენებული.

SPSS -ის გამოყენებით მკვლევარმა განსაზღვრა საშუალო ქულა როგორც ექსპერიმენტული, ასევე საკონტროლო ჯგუფისათვის. პრე-ტესტის, შუა-ტესტისა და პოსტ-ტესტის მონაცემები მოცემულია ცხრილებში 3.1., 3.2. და 3.3.

პრე-ტესტმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტის დასაწყისში საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტები მეტ-ნაკლებად თანაბარი დონის იყვნენ, თუმცა ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების საშუალო ქულა ოდნავ მაღალი იყო, თუმცა სხვაობა არ იყო მნიშვნელოვანი. ამასთან, პირობითი სახელები, საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფებს მიენიჭათ ტესტამდე, ასე რომ ჯგუფების გადანაწილება არ მომხდარა ტესტის შედეგებიდან გამომდინარე.


ცხრილი 3.1: ორივე ჯგუფის პრე-ტესტის შედეგები



ლურჯი სვეტი აღნიშნავს ექსპერიმენტულ ჯგუფს, ხოლო წითელი კი საკონტროლო ჯგუფს.

მე-7 კვირის ბოლოს სტუდენტებმა წერეს შუა-ტესტი. შედეგები მოცემულია ცხრილში 3.2. ექსპერიმენტულმა ჯგუფმა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მეტი პროგრესი აჩვენა.


ცხრილი 3.2. ორივე ჯგუფის შუა-ტესტის შედეგები



ლურჯი სვეტი აჩვენებს ექსპერიმენტული ჯგუფის შედეგებს, წითელი კი საკონტროლო ჯგუფის მონაცემებს.


პოსტ-ტესტის შედეგები ასახულია ცხრილში 3.3.

ცხრილი 3.3: ორივე ჯგუფის პოსტ-ტესტის შედეგები



ორივე ჯგუფის პროგრესის თვალსაჩინოდ საჩვენებლად ცხრილში 3.4 შევაჯამეთ პრე-, შუა- და პოსტ-ტესტის შედეგები.

ცხრილი 3.4.: ორივე ჯგუფის პრე-, შუა- და პოსტ-ტესტების შედეგები



დაწყვილებული კვლევის შერჩევის სტატისტიკურ ტესტში გავაანალიზეთ პრე-, შუა- და პოსტ-ტესტის მონაცემები. გამოვითვალეთ საშუალო რიცხვი, სტანდარტული გადახრა და სტანდარტული შეცდომის საშუალო რიცხვი. ყველა ეს მონაცემი ასახულია ცხრილში 3.1:

ცხრილი 3.1.: დაწყვილებული კვლევის შერჩევის ტესტი

		დაწყვილებული სხვაობები				t	df	მნიშვნ.	
		საშუალო რიცხვი	სტადარტული გადახრა	სტანდარტ შეცდ. საშუალო რიცხვი	95% ნდობის ინტერვალი				
					ქვედა				ზედა
წყვილი 1	ექსპერიმენტ. ჯგუფი_პრე-ტესტი - ექსპერიმენტ. ჯგუფი_შუა-ტესტი	-6.60000	.94032	.21026	-7.04009	-6.15991	-31.389	19	.000
წყვილი 2	ექსპერიმენტ. ჯგუფი_შუა-ტესტი - ექსპერიმენტ. ჯგუფი_პოსტ-ტესტი	-4.70000	.97872	.21885	-5.15806	-4.24194	-21.476	19	.000
წყვილი 3	საკონტროლო_ჯგუფი_პრე-ტესტი - საკონტროლო_ჯგუფი_შუა-ტესტი	-4.00000	2.42791	.54290	-5.13630	-2.86370	-7.368	19	.000
წყვილი 4	საკონტროლო_ჯგუფი_შუა-ტესტი - საკონტროლო_ჯგუფი_პოსტ-ტესტი	-2.50000	.88852	.19868	-2.91584	-2.08416	-12.583	19	.000

ჩვენს კვლევაში მნიშვნელობის სიდიდე ყველა წყვილისათვის არის .000. (თუკი მნიშვნ. < .01, მაშინ მოდელი მნიშვნელოვანია 99%-ით; თუკი მნიშვნ. < .05, მაშინ მოდელი მნიშვნელოვანია 95%-ით, ხოლო თუ მნიშვნ. < .1, მაშინ მოდელი მნიშვნელოვანია 90%-ით). ჩვენს კვლევაში $P < .01$ ყველა წყვილისათვის, ასე რომ მოდელი მნიშვნელოვანია 99%-ით. ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორი ჯგუფის ტესტების შედეგებს შორის არის მნიშვნელოვანი სტატისტიკური სხვაობა, რაც

გვამღევს დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ექსპერიმენტული ჯგუფის სტუდენტების სწავლის პროცესი და შედეგები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის სტუდენტების სწავლის პროცესი და შედეგები.

თვისებრივი მონაცემების ანალიზი

სტუდენტებისა და მასწავლებლების უკუკავშირზე დაყრდნობით კვლევაში მივედით კონკრეტულ დასკვნებამდე. მოსმენა არის მტკივნეული და რთული პროცესი, რომელშიც ენის შემსწავლელი აქტიურად არის ჩართული, თუკი სწავლა-სწავლების სათანადო მოდელი არის შერჩეული და გათვალისწინებულია ენის შემსწავლელის ინტერესები. მოსმენის პროცესში ენის შემსწავლელი ცდილობს მნიშვნელობა მიანიჭოს მის მიერ მოსმენილს. მოსმენის პროცესში ადამიანს უხდება უამრავი მენტარული პროცესის გამოყენება, რადგან მან უნდა გაიგონოს და აღიქვას ინფორმაცია; ამას გარდა, ენის შემსწავლელს ასევე ესაჭიროება პასუხის გაცემა, ანუ ინფორმაციაზე რეაგირება. მოსმენა გულისხმობს შემეცნებადი ინფორმაციის გაგება-გააზრებას. ენის შემსწავლელმა უნდა იცოდეს, იფიქროს, გამოიყენოს საკუთარი გამოცდილება და ინტერპრეტაციის უნარი, რათა ზედმიწევნით კარგად აღიქვას გზავნილი. მოსმენის პროცესში გაგება-გააზრებას გადამწყვეტი როლი ენიჭება. ენის შემსწავლელმა ერთმანეთისაგან უნდა განასხვავოს სიტყვები და გრამატიკული სტრუქტურები და მოახდინოს გზავნილის ინტერპრეტაცია. თუკი ენის შემსწავლელი ვერ გაიგებს გზავნის, ისინი ვერ ახერხებენ სათანადო რეაგირებას. მარტივად რომ ვთქვათ, ენობრივი კომპეტენციის განვითარების მიზნით ენის შემსწავლელს ესაჭიროება შემეცნებადი ინფორმაცია.

მოსმენილის გაგების გარეშე ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს წერითი და ზეპირი ენის გამოყენებას. მოსმენა არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ენის დაუფლების პროცესში. თვისებრივმა ინტერვიუებმა მოგვაწოდა მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ როსტის (Rost, 2001) დებულებას, რომ „წარმატებულ და წარუმატებელ ენის შემსწავლელს შორის სხვაობა არის მათ შესაძლებლობაში, მოსმენა გამოიყენონ ენის დაუფლების პროცესში“ (გვ. 94). როდესაც ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს მოსმენის უნარების განვითარებას და არ გააჩნია მოსმენის სტრატეგიები სხვადასხვა

დავალებისათვის, მოსმენა ხშირად აღიქმება ურთულეს უნარად. შედეგად, ბევრი ენის შემსწავლელისათვის მოსმენა იქცევა სტრესის მთავარ წყაროდ. უფრო მეტიც, მოსმენა დიდ დავლენას ახდენს ენობრივი კომპეტენციის განვითარებაზე. მოსმენა ავითარებს გაგება-გააზრების უნარებს. გაგების გარეშე არ ხერხდება ენის დაუფლება. შესაბამისად, შეგვიძლია ვამტკიცოთ, გაგება-გააზრების უნარების განვითარება და ახალი შინაარსის შექმნა ენის შესწავლის პროცესში მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსმენის ასპექტთან. ამდენად, მოსმენილის გააზრებას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე უბრალოდ ცალკეული გზავნილის შინაარსის გაგებას. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ენის დაუფლებასთან და არა მხოლოდ მოსმენის უნარის განვითარებასთან, არამედ გრამატიკის, ლექსიკის, ენობრივი ცოდნის შექმნასთან.

მოსმენა არის ენობრივი უნარების განვითარების საფუძველი. შესაბამისად, მოსმენას უნდა დაეთმოს დიდი ყურადღება. ბოლო დროს ინტენსიურად ხდება ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრირება და ეს ტენდენცია ასევე მნიშვნელოვანია ენის შესწავლის პროცესში. ტექნოლოგიების მეშვეობით ენის შემსწავლელს აქვს წვდომა უამრავ მასალასთან. შესაბამისად, სტუდენტებისა და მასწავლებლების პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კომპიუტერები, და ზოგადად ტექნოლოგიები, შეგვიძლია ეფექტურად გამოვიყენოთ მოსმენის უნარის განვითარების პროცესში. ტექნოლოგიების გამოყენება ენის შემსწავლელს მდიდარ მოსასმენ მასალაზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს და სწავლის პროცესის გაცილებით მოქნილია. საკლასო ოთახში სავარჯიშოების შესრულების შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია. საკლასო ოთახის გარეთ კი ენის შემსწავლელს შეუძლია ინტენსიური მოსმენის უზრუნველყოფა. კვლევაში ჩართული სტუდენტების მიერ ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ მოსმენის სავარჯიშოების ტრადიციული ფორმით შესრულება აღარ არის იმდენად ეფექტური. ტექნოლოგია უზრუნველყოფს სტუდენტის მოტივაციას, რადგან ტექნოლოგიების მეშვეობით მოპოვებული მასალები, ასევე სწავლის შესაძლებლობები გაცილებით უფრო ფუნქციურ სასწავლო გარემოს ქმნის, რაც ხელს უწყობს დადებითი სასწავლო კონტექსტის ფორმირებასა და ენის შემსწავლელის ავტონომიას.

ტექნოლოგია ენის შემსწავლელს ეხმარება უფრო გააზრებულად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. ამასთან, სწავლა ხდება უფრო ავთენტური და გააზრებული. ტექნოლოგია უზრუნველყოფს ყველა ენობრივი უნარის ინტეგრირებას მშვიდ სასწავლო გარემოში, თუკი ენის შემსწავლელმა იცის მისი სათანადოდ გამოყენება. საკლასო ოთახში შესრულებული მოსასმენი დავალებები შეიძლება სტრესის მიზეზი იყოს ბევრი ენის შემსწავლელისათვის, მაგრამ საკლასო ოთახის გარეთ ტექნოლოგიების გამოყენებით მოსმენა ზრდის გზავნილის სწორად გააზრების ალბათობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

განალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით კვლევა მივიდა კონკრეტულ დასკვნებამდე. კვლევის ფარგლებში ვცადეთ კვლევის შეკითხვებზე პასუხების მოძიება. ერთ-ერთი უმთავრესი შეკითხვა ეხებოდა მოსმენის როლს ინგლისურის როგორც უცხოური ენის შესწავლის პროცესში. კვლევამ განმარტა, რომ მოსმენა არის კავშირი ბგერასა და შინაარსის სტრუქტურას შორის, რადგან მოსმენის სავარჯიშოების შესრულების დროს ენის შემსწავლელი ცდილობს ამოიცნოს და გაიგოს ბგერები და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღწევა გაგება-გააზრება. თუკი ენის შემსწავლელი ვერ იღებს შემეცნებად ინფორმაციას, წარმოუდგენელია უცხოური ენის კომპეტენციის განვითარება. მოსმენა არის მოსაუბრის მიერ გამოგზავნილი გზავნილის მიღების პროცესი. მსმენელს ჭირდება ამ გზავნილის გაშიფვრა და რეაგირება. ეს კი აჩვენებს, რომ მოსმენა არის ინტერაქტიული პროცესი. ენის შემსწავლელი შეიმეცნებს შინაარსს და ამის შემდეგ ახდენს გამონათქვამის ფორმირებას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსიანი კომუნიკაციის დასამყარებლად მსმენელი იღებს ინფორმაციას, აგებს შინაარსს და უზრუნველყოფს უკუკავშირს ანუ რეაგირებას. ლიტერატურის მიმოხილვად და კვლევის შედეგად მოპოვებულმა პირველადმა მონაცემებმა გვაჩვენა, რომ მოსმენის უნარების ფორმირება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვა ენობრივი უნარებისა და კომპეტენციის განვითარებაში.

სხვა მნიშვნელოვანი შეკითხვები ეხებოდა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის მოსმენის პროცესის მახასიათებლებს და კომუნიკაციური კომპეტენციის

განვითარების კუთხით მოსმენის როლს. მოსმენა არ არის უბრალოდ გაგონების პროცესი; ის უფრო რთული და კომპლექსური პროცესია. გაგონება არის ბგერების აღქმა. მოსმენის პროცესში კი ენის შემსწავლელმა უნდა მიიღოს, განსაზღვროს და იცნოს ბგერები. ამდენად, მოსმენა არის კოპლექსური პრობლემების გადაჭრის პროცესი, რომლის დროსაც აუცილებელი ცოდნა და კომპეტენცია. ენის შემსწავლელს ესაჭიროება ენობრივი ცოდნა, რათა იცნოს სიტყვები და გაიაზროს, თუ რას ამბობს მსმენელი. შინაარსის შესაქმნელად ენის შემსწავლელს ასევე ესაჭიროება კომპეტენცია - კომუნიკაციური კომპეტენცია, რომელიც მათ უკარნახებს, თუ როგორ მოიქცეს სხვადასხვა კონტექსტში ენობრივი ნორმების შესაბამისად. ტექნოლოგია ქმნის პლატფორმას, რომლის მეშვეობითაც ენის შემსწავლელი ეჩვენა სხვადასხვა კონტექსტს, რომელიც ახლოს არის რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე კომუნიკაციასთან. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესასწავლად, რადგან სამწუხაროდ ენის შემსწავლელი ძალიან იშვიათად ხვდება ისეთ გარემოში, სადაც ენა ბუნებრივად გამოიყენება ადამიანურ კომუნიკაციაში.

მოსაუბრის გზავნილის მისაღებად ენის შემსწავლელს ჭირდება ყურადღება, რადგან მოსმენა არის რთული და კომპლექსური პროცესი. ამ პროცესში ენის შემსწავლელმა უნდა იცნოს ახლად მოპოვებული ინფორმაცია და მათ ასევე ჭირდებათ მნიშვნელობის ფორმირება. ენის შემსწავლელი ახდენს კონტექსტის წინასწარ გამოცნობას საკვანძო სიტყვების მეშვეობით. თუმცა ამ კომპლექსურმა პროცესმა შეიძლება დაღალოს ენის შემსწავლელი. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მასწავლებელი იყენებს მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს ენის პრაქტიკას და არა ლექსიკის რუტინულ სწავლებას. საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ონლაინ პლატფორმები და რესურსები ამ მხრივ ღირებულია, რადგან ისინი გვაწვდიან სასწავლო მასალას, რომელიც შემუშავებულია ავთენტურ მასალაზე დაყრდნობით. ონლაინ პლატფორმა შესაძლებლობას აძლევს ენის შემსწავლელს დაუკავშირდეს ენის მატარებელს და დაამყაროს მათთან ბუნებრივი და შინაარსიანი კომუნიკაცია. თუმცადა, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელს ჭირდება დიდი სიფრთხილეა, რადგან

ენის შემსწავლელის უსაფრთხოება ინტერნეტ სივრცეში ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საკითხია.

მომდევნო მნიშვნელოვანი კვლევის შეკითხვა ეხებოდა ეფექტურ სტრატეგიებს, რომლებიც ენის შემსწავლელს დაეხმარება მოსმენის უნარის განვითარებაში. მოსმენის პროცესში ენის შემსწავლელი ცდილობს მოსმენილი ინფორმაციისათვის მნიშვნელობის მინიჭებას. ამდენად, მოსმენა არის რთული და მტკივნეული პროცესი, რომელშიც ენის შემსწავლელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მოსმენის პროცესში ენის შემსწავლელს ჭირდება თავი გაართვას უამრავ მენტალურ პროცესს, რადგან აუცილებელია ინფორმაციის გაგონება და გააზრება, ასევე მოსმენილზე რეაგირება. მათ უნდა იცოდნენ, გამოიყენონ გამოცდილება, რათა მოახერცონ გზავნილის ინტერპრეტაცია. თუკი ენის შემსწავლელი ვერ მოახერხებს გზავნილის გაგებას, იგი ვერ უზრუნველყოფს უკუკავშირს. შესაბამისად, მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს ენის შემსწავლელის ისეთი სტრატეგიებით აღჭურვა, რომელის მას დაეხმარება მოსასმენ მასალაზე კონცენტრაციაში, მთავარი და ძირითადი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გამიჯვნაში და ეფექტური კომუნიკაციის შენარჩუნებაში. აქედან გამომდინარე, მოსმენა უცხოური ენის დაუფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან მოსმენილის გაგება-გააზრების გარეშე ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს წერითი და ზეპირი მეტყველების გამოყენებას სხვადასხვა კომუნიკაციაში. გაგება-გააზრების გარეშე არ ხდება ენის დაუფლება.

ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლა-სწავლების კონტექსტში ტექნოლოგიების ინტეგრირება გარდაუვალია. ენის მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, სათანადოდ როგორ გამოიყენონ ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ზრდის აუცილებელია მასწავლებლის ინსტრუქციების ეფექტის გასაძლიერებლად. საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენება დიდ როლს თამაშობს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლის კონტექსტში, სადაც ენის შემსწავლელი ეცნობა ინგლისურის ბუნებრივად გამოყენების შემთხვევებს, რაც ხელს უწყობს გამიზნულ და გააზრებულ სწავლას.

ენის შემსწავლელი ვერ ახერხებს კომუნიკაციის უნარების განვითარებას, თუკი ის ვერ იგებს, თუ რას უსმენს. ვერბალური კომუნიკაცია მოითხოვს ენის ეფექტურ გამოყენებას. მოსმენა კი ენის შემსწავლელს ეხმარება როგორ საგანმანათლებლო გარემოში, ისე მის გარეთ ეფექტურ კომუნიკაციაში. კომუნიკაციაში წარმოთქმას ენიჭება განსაკუთრებული როლი. თუკი სიტყვები არ არის სწორად წარმოთქმული, გაგება-გააზრება ძნელდება. კომუნიკაცია მოითხოვს ლექსიკისა და ენის სტრუქტურების ცოდნასაც. წარმოთქმა, ლექსიკა და ენის სტრუქტურები ენის შემსწავლელს ენის სწორად გამოყენებაში ეხმარება. შესაბამისად, ენის მატარებლებთან ურთიერთობა, ან ავთენტური მასალის მოსმენა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ივარჯიშონ სწორ წარმოთქმაზე - წარმოთქმა, რომელიც ახლოს არის ენის მატარებლის წარმოთქმასთან.

დისერტაციის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია შემდეგ პუბლიკაციებში

Bingol, M. A., Celik, B., & Yildiz, N. (2014). Smart Phone Assisted Language Learning. *International Journal of Social Sciences & Educational Studies* , 1 (2), 67-71.

Yildiz, N. (2015). Strategies to Support the Enhancement of Listening Comprehension (A Case of Ishik University English Preparatory School). *Journal of Education in Black Sea Region* , 1 (1), 87-94.

Yildiz, N., Parjanadze, N., & Albay, M. (2015). The Effect of Question Position on Listening Comprehension: A Case Study. *International Journal of Social Sciences & Educational Studies* , 2 (1), 4-9.

Yildiz, N. (2015). The Role of Listening Skills in Developing Communicative Competence: A Case Study in the Language Classroom. *International Journal of Social Sciences & Educational Studies* , 2 (2), 4-11.